

შპს ომეგა

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. შემოსავალი	17
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17
7. კომერციული ხარჯები	17
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
9. ფინანსური ხარჯი	17
10. წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	17
11. იჯარები	18
12. ძირითადი საშუალებები	20
13. მარაგები	20
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	21
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22
20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	22

მმართველობის ანგარიშგება	32
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ომეგას ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ომეგას (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსტების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექნა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

22 სექტემბერი 2021 წელი

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეგისტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით
თბილისი, საქართველო

22 სექტემბერი 2021 წელი

შპს ომეგა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	70,700,156	55,510,798
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(56,758,795)	(44,839,673)
საერთო მოგება		13,941,361	10,671,125
კომერციული ხარჯები	7	(4,082,000)	(4,632,465)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(889,890)	(795,633)
სხვა შემოსავალი, წმინდა		336,534	90,823
საოპერაციო მოგება		9,306,005	5,333,850
ფინანსური შემოსავალი		144,381	94,620
ფინანსური ხარჯი	9	(609,614)	(523,285)
წმინდა ზარალი საკუთარ სხვაობიდან	10	(912,757)	(392,943)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		7,928,015	4,512,242

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 22 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი _____ ს. აბულაძე

9-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	70,700,156	55,510,798
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(56,758,795)	(44,839,673)
საერთო მოგება		13,941,361	10,671,125
კომერციული ხარჯები	7	(4,082,000)	(4,632,465)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(889,890)	(795,633)
სხვა შემოსავალი, წმინდა		336,534	90,823
საოპერაციო მოგება		9,306,005	5,333,850
ფინანსური შემოსავალი		144,381	94,620
ფინანსური ხარჯი	9	(609,614)	(523,285)
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	10	(912,757)	(392,943)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		7,928,015	4,512,242

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 22 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი



ს. აბულაძე

9-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	11	3,776,952	4,151,049
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	11	270,540	537,859
ძირითადი საშუალებები	12	256,268	236,452
არამატერიალური აქტივები		4,212	4,212
		4,307,972	4,929,572
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	23,486,913	20,939,260
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	6,223,634	4,097,360
გაცემული სესხები		225,305	-
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	11	215,170	199,729
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	7,058,226	6,768,505
		37,209,248	32,004,854
სულ აქტივები		41,517,220	36,934,426
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		1,398	1,398
გაუნაწილებელი მოგება		33,739,319	27,318,541
		33,740,717	27,319,939
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	3,841,218	2,978,136
		3,841,218	2,978,136
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	1,641,104	2,458,517
სესხები		-	1,444,674
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,294,181	2,733,160
		3,935,285	6,636,351
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		41,517,220	36,934,426

9-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	1,398	24,616,825	24,618,223
გაცემული დივიდენდი	-	(1,810,526)	(1,810,526)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,512,242	4,512,242
31 დეკემბერი 2019	1,398	27,318,541	27,319,939
გაცემული დივიდენდი	-	(1,507,237)	(1,507,237)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,928,015	7,928,015
31 დეკემბერი 2020	1,398	33,739,319	33,740,717

9-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		7,928,015	4,512,242
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	96,836	87,622
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	11	2,015,974	2,147,098
მარაგების გაუფასურება	8	102,616	85,253
საპროცენტო შემოსავალი		(144,381)	(94,620)
საპროცენტო ხარჯი	9	609,614	523,285
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(1,525)	11,260
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	10	912,757	392,943
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		11,519,906	7,665,083
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების ზრდა		(2,650,270)	(3,722,970)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(1,960,430)	(660,956)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)		(1,039,372)	67,996
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,869,834	3,349,153
გადახდილი პროცენტები		(623,096)	(512,458)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,246,738	2,836,695
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(116,651)	(127,551)
ძირითადი საშუალებების გასვლა		1,525	424
ფინანსური იჯაროდან მიღებული ფულადი სახსრები		179,535	181,531
გაცემული სესხები		(679,812)	-
მიღებული პროცენტი		144,381	94,620
გაცემული სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები		491,658	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		20,636	149,024
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა		(6,375,625)	(4,959,753)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(1,931,599)	(2,155,190)
სესხების მიღება		4,947,165	6,379,412
გადახდილი დივიდენდი		(1,507,237)	(1,810,526)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(4,867,296)	(2,546,057)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		400,078	439,662
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	6,768,505	6,417,290
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	10	(110,357)	(88,447)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	7,058,226	6,768,505

9-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ომეგა" (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1996 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზირი №11, თბილისი, საქართველო. კომპანია ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით. კომპანიის დირექტორია ნინო გაბუნია.

კაპიტალის წილების პროცენტული ფლობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები	31.12.2020	31.12.2019
თამარა გაბრიელაშვილი	50%	50%
გრიგორი გუდავაძე	50%	50%

2. მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 20-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

კომპანია არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ებს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიის განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის პანდემიის უარყოფითი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანია რჩება მომგებიანი საანგარიშო წლისთვის. მას ასევე აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 20-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოცემული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის პირველ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვარის დადგენისა და კონტროლის მიზნით. კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში. კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, რისკი დაკავშირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები არის შემდეგი:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,688,149	1,162,697
გაცემული სესხები	225,305	-
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	484,710	737,588
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,058,226	6,768,505
	9,457,390	8,668,790
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,802,200	2,366,924
სესხები	-	1,444,674
საიჯარო ვალდებულებები	5,482,322	5,436,652
	7,284,522	9,248,250

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით.

კომპანიის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაცემული სესხები

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

ფული და ფულის ეკვივალენტები

31.12.2020

1,668,149

225,305

485,710

7,006,202

9,405,366

31.12.2019

1,162,359

-

737,588

6,646,723

8,546,670

ვადაგადაცილებული მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოთხოვნები, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული

ვადაგადაცილებული მოთხოვნები, რომელიც არ არის გაუფასურებული

31.12.2020

1,341,296

346,853

1,688,149

31.12.2019

937,739

224,620

1,162,359

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება ნარჩენ საკონტრაქტო ვალდებულებებს.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2020
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,058,226	-	-	7,058,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,688,149	-	-	1,688,149
გაცემული სესხები	225,305	-	-	225,305
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	215,170	270,540	-	485,710
	9,186,850	270,540	-	9,457,390
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,802,200	-	-	1,802,200
საიჯარო ვალდებულებები	1,641,104	3,841,218	-	5,482,322
	3,443,304	3,841,218	-	7,284,522

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2019
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,768,505	-	-	6,768,505
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,162,359	-	-	1,162,359
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	199,729	537,859	-	737,588
	8,130,593	537,859	-	8,668,452
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,366,924	-	-	2,366,924
სესხები	1,444,674	-	-	1,444,674
საიჯარო ვალდებულებები	2,458,516	2,755,944	222,192	5,436,652
	6,270,114	2,755,944	222,192	9,248,250

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ანალიზი უცხოურ ვალუტებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	31.12.2020
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,081,232	1,785,345	191,649	7,058,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,688,149	-	-	1,688,149
გაცემული სესხები	-	-	225,305	225,305
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	485,710	-	-	485,710
	7,255,091	1,785,345	416,954	9,457,390
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	466,297	1,335,903	-	1,802,200
საიჯარო ვალდებულებები	504,130	4,978,192	-	5,482,322
	970,427	6,314,095	-	7,284,522
ღია სავალუტო პოზიცია	6,284,664	(4,528,750)	416,954	

	ლარი	დოლარი	ევრო	31.12.2019
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,592,841	1,175,326	338	6,768,505
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,162,359	-	-	1,162,359
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	-	737,588	-	737,588
	6,755,200	1,912,914	676	8,668,452
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	593,611	1,612,791	160,519	2,366,921
სესხები	-	1,444,674	-	1,444,674
საიჯარო ვალდებულებები	126,658	5,309,997	-	5,436,655
	720,269	8,367,462	160,519	9,248,250
ღია სავალუტო პოზიცია	6,034,931	(6,454,548)	(160,412)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონიერულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	დოლარის ეფექტი 2020		ევროს ეფექტი 2020	
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
მოგება/(ზარალი)	(905,750)	905,750	83,391	(83,391)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	დოლარის ეფექტი 2019		ევროს ეფექტი 2019	
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
მოგება/(ზარალი)	(1,290,910)	1,290,910	(32,082)	32,082

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმინაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. შემოსავალი

	2020	2019
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	42,468,813	35,450,674
აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა	27,196,344	19,123,908
სხვა	1,034,999	936,216
	70,700,156	55,510,798

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	(33,255,813)	(28,058,204)
აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა	(22,593,193)	(16,025,234)
სხვა	(909,789)	(756,235)
	(56,758,795)	(44,839,673)

7. კომერციული ხარჯები

	2020	2019
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(1,941,687)	(2,072,811)
შრომის ანაზღაურება	(1,321,039)	(1,197,805)
რეკლამის ხარჯი	(223,812)	(231,707)
კომუნალური ხარჯი	(137,475)	(154,359)
ცვეთა და ამორტიზაცია	(91,827)	(83,295)
საწვავის ხარჯი	(80,374)	(102,983)
იჯარის ხარჯი	(76,754)	(404,314)
კომუნიკაციის ხარჯი	(25,339)	(23,022)
დაცვის ხარჯი	(21,887)	(22,965)
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	(16,105)	(32,575)
სხვა	(145,701)	(306,629)
	(4,082,000)	(4,632,465)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(626,696)	(544,020)
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა	(102,616)	(85,253)
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(74,287)	(74,287)
საკონსულტაციო ხარჯი	(55,313)	(29,203)
საკანცელარიო ხარჯი	(8,966)	(7,037)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(8,311)	(5,545)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,009)	(4,327)
მივლინება	(302)	(22,170)
სხვა	(8,390)	(23,791)
	(889,890)	(795,633)

9. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(132,074)	(50,893)
იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(477,540)	(472,392)
	(609,614)	(523,285)

10. წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2020	2019
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(110,357)	(88,447)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(802,400)	(304,496)
	(912,757)	(392,943)

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. იჯარები

კომპანია ქირაობს შენობებსა და სასაწყობე ფართებს მაღაზიის განსათავსებლად და მარაგების დასაწყობებისთვის. კომპანიას აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სხვადასხვა კომპანიებთან და ფიზიკურ პირებთან. კომპანიის 14 შენობა-ნაგებობის იჯარიდან 1 იჯარა გასაზღვრულია ლარში, ხოლო 13 - დოლარში. კომპანიის არსებული იჯარებიდან 13 არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში, ხოლო ერთი იჯარა ითვალისწინებს აშშ-ს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (US CPI) დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს. კომპანიას ლარში გასაზღვრული ერთ-ერთი ფიქსირებული იჯარით აღებული ფართი (პეკინის ქუჩა #11) გაცემული აქვს ფინანსური იჯარით და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს „მოთხოვნებს ფინანსური იჯარიდან“ ნეტო საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	შენობა- ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2020	4,151,049	4,151,049
შემოსვლა	151,264	151,264
ამორტიზაცია	(2,015,974)	(2,015,974)
საიჯარო ხელშეკრულების ცვლილების ეფექტი	1,490,613	1,490,613
31 დეკემბერი 2020	3,776,952	3,776,952

	შენობა- ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2019	5,458,854	5,458,854
შემოსვლა	839,293	839,293
ამორტიზაცია	(2,147,098)	(2,147,098)
31 დეკემბერი 2019	4,151,049	4,151,049

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	შენობა- ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2020	5,436,652	5,436,652
შემოსვლა	151,264	151,264
საპროცენტო ხარჯი	477,540	477,540
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(1,931,599)	(1,931,599)
პროცენტის გადახდა	(477,540)	(477,540)
საიჯარო ხელშეკრულების ცვლილების ეფექტი	1,135,912	1,135,912
კურსთაშორისი სხვაობა	690,092	690,092
31 დეკემბერი 2020	5,482,322	5,482,322

კომპანიამ მეიჯარეებისგან მიიღო საიჯარო გადასახდელის პატიების შეღავათი (კონტრაქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირის შემცირება) საიჯარო გადასახდელზე, ვინაიდან კომპანიას გარკვეული პერიოდის განმავლობაში პანდემიიდან გამომდინარე არ შეეძლო ოპერირება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ით გათვალისწინებული პრაქტიკული გამოწვევის ყველა საიჯარო გადასახდელზე მიღებულ შეღავათზე, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს. საანგარიშგებო პერიოდში მიღებული ყველა შეღავათი აკმაყოფილებს კრიტერიუმს, რომ მოხდეს სტანდარტით გათვალისწინებული გამოწვევის გამოყენება. პრაქტიკული გამოწვევის გამოყენების შედეგად საიჯარო ვალდებულება შემცირდა 182,211 ლარით. შეღავათის ეფექტი აისახა იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა გადახდების გამომწვევი მოვლენა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არსებული იჯარის ვადა გაიზარდა 5 წლით იჯარის გამოყენების სფეროს ზრდის გარეშე. შესაბამისად კომპანიამ მოდიფიკაციის გათვალისწინებით დააკორექტრა აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. იჯარები (გაგრძელება)

	შენიშნა- ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2019	6,436,304	6,436,304
შემოსვლა	839,292	839,292
საპროცენტო ხარჯი	472,392	472,392
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(2,155,190)	(2,155,190)
პროცენტის გადახდა	(472,389)	(472,389)
კურსთაშორისი სხვაობა	316,243	316,243
31 დეკემბერი 2019	5,436,652	5,436,652

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	შენიშნა- ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2019	737,588	737,588
შემოსვლა	-	-
საპროცენტო შემოსავალი	48,846	48,846
საიჯარო მოთხოვნის დაფარვა	(179,535)	(179,535)
მიღებული პროცენტი	(48,846)	(48,846)
საიჯარო ხელშეკრულების ცვლილების ეფექტი	(172,490)	(172,490)
კურსთაშორისი სხვაობა	100,147	100,147
31 დეკემბერი 2019	485,710	485,710

	შენიშნა- ნაგებობა	სულ
1 იანვარი 2019	861,529	861,529
შემოსვლა	-	-
საპროცენტო შემოსავალი	61,378	61,378
საიჯარო მოთხოვნის დაფარვა	(181,531)	(181,531)
მიღებული პროცენტი	(61,378)	(61,378)
კურსთაშორისი სხვაობა	57,590	57,590
31 დეკემბერი 2019	737,588	737,588

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერი, ავეჯი და სხვა ოფისის მოწყობილობა	სულ
31.12.2018	142,059	196,745	188,049	526,853
შემოსვლა	-	51,679	75,872	127,551
გასვლა	(31,526)	(25,238)	(21,293)	(78,057)
31.12.2019	110,533	223,186	242,628	576,347
შემოსვლა	-	21,201	95,450	116,651
გასვლა	-	(24,600)	-	(24,600)
31.12.2020	110,533	219,787	338,078	668,398
დაგროვილი ცვეთა				
31.12.2018	(99,678)	(105,219)	(113,750)	(318,647)
პერიოდის ცვეთა	(19,719)	(32,263)	(35,640)	(87,622)
გასვლა	31,526	13,554	21,294	66,374
31.12.2019	(87,871)	(123,928)	(128,096)	(339,895)
პერიოდის ცვეთა	(15,490)	(34,404)	(46,941)	(96,835)
გასვლა	-	24,600	-	24,600
31.12.2020	(103,361)	(133,732)	(175,037)	(412,130)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31.12.2019	22,662	99,258	114,532	236,452
31.12.2020	7,172	86,055	163,041	256,268

სრულად გაცვეთილი აქტივები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრებოდა შესაბამისად, 218,297 და 106,009 ლარით.

13. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	16,782,384	12,563,604
აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა	6,352,531	8,059,671
სხვა	351,998	315,985
	23,486,913	20,939,260

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,688,149	1,162,359
	1,688,149	1,162,359
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	4,535,485	2,935,001
	4,535,485	2,935,001
	6,223,634	4,097,360

კომპანიის მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5,029,208	5,471,059
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,976,994	1,175,664
ფული სალაროში	52,024	121,782
	7,058,226	6,768,505

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,537,446	1,974,628
სხვა	264,754	392,296
	1,802,200	2,366,924
არაფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	491,981	366,236
	491,981	366,236
	2,294,181	2,733,160

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა

17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:		
მოკლევადიანი გასამრჯელო	(143,997)	(180,451)

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდი

2021 წლის ივლისში კომპანიამ დამფუძნებლებზე გასცა 2,946,316 ლარის ოდენობის დივიდენდი.

პარტნიორის ცვლილება

2021 წლის აგვისტოში თამარა გაბრიელაშვილმა 10%-იანი წილი მიყიდა ნინო გაბუნას და კომპანიის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად: გრიგორი გუდავაძე 50%, თამარა გაბრიელაშვილი 40% და ნინო გაბუნია 10%.

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ყველა აქტივი დაკლასიფიცირებულია როგორც „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით.

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფინანსურ აქტივებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებები

ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება შეიცვალა ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტებით. ახალი სტანდარტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებები შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად - „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“. კომპანია ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშშორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას. მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20.ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წარმომქმნელი გაუფასურების ზარალი ამცირებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯგუფში სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას პროპორციულად.

წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის გადახედვა ხდება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, გაუფასურების ზარალის არსებობის ან შემცირების შეფასებასთან დაკავშირებით. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივები ამორტიზდება 2 - 5 წლამდე პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღრიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა ფინანსურია თუ საოპერაციო დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის დაწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფინანსური იჯარით გადაცემული აქტივები წარდგება, როგორც მოთხოვნები, ნეტო საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. ნეტო საიჯარო ინვესტიციის შესაფასებლად გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. ქვეიჯარის შემთხვევაში, თუ ქვეიჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება ძირითადი იჯარის მიმართ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი.

იჯარის ვადის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი ისეთი სქემის საფუძველზე აღიარდება, რომელიც ასახავს მეიჯარის ნეტო საიჯარო ინვესტიციის უკუგების მუდმივ (უცვლელ) პერიოდულ განაკვეთს.

ფინანსური იჯარის აღიარების შეწყვეტისა და გაუფასურების პოლიტიკა შეესაბამება ფინანსური აქტივების შესაბამის პოლიტიკას.

საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით, ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძველით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ იგი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და მოწყობილობების მიწოდება მონტაჟით ან მონტაჟის გარეშე.

საქონლის რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის, ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდებას თან ახლავს მონტაჟის მომსახურება, გარიგების მთლიანი ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას საურავებისა და ჯარიმების სახით.

კომპანიას არ აქვს გაფორმებული არცერთი ისეთი კონტრაქტი, რომლის ფარგლებშიც მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურებიდან მიღებული ანაზღაურების დრო ერთ წელს აღემატება. შესაბამისად, კომპანია საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველი რეალიზაციისას დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებაზე ანაწილებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს 2დან 10 წლამდე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება ძირითადად სააღრიცხვო პროგრამისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელი.

მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადის აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება “ფიფო” (პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში) მეთოდით.

საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით

20. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოადინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასაარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარ მოვლენებში.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20.ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება	32
1. ზოგადი ინფორმაცია.....	33
2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები.....	33
3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	35
4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა.....	36
5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	36

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ომეგა (შემდგომში კომპანია) ბაზარზე წარმოდგენილია მეგატექნიკის მაღაზიითა ქსელის სახით, რომელიც 25 წელია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოში საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. კომპანიის პირველი მაღაზია 1996 წელს გაიხსნა თბილისში. მას შემდეგ კომპანია სტაბილურად ვითარდებოდა, იზრდებოდა და დღესდღეობით 150-მდე თანამშრომელს ასაქმებს.

კომპანია დაკავებულია საცალო და საბითუმო ვაჭრობით. მეგატექნიკა ყიდის საყოფაცხოვრებო და კომპიუტერულ ტექნიკას. კომპანია ცდილობს მომხმარებელს შესთავაზოს პროდუქტის დიდი არჩევანი სხვადასხვა საფასო სეგმენტში. კომპანიის მთავარი მიზანია - იყოს სანდო პარტნიორი და მიაწოდოს მომხმარებელს ხარისხიანი პროდუქცია და ხარისხიანი მომსახურება.

2020 წელს კომპანიის ფილიალების რაოდენობა არ შეცვლილა. კომპანიის საცალო ქსელი მოიცავს 10 მაღაზიას თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში და ბათუმში. ასევე კომპანიას აქვს 3 საწყობი სტრატეგიულ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

კომპანია ახდენს ისეთი მსოფლიო ბრენდების ტექნიკის რეალიზაციას, როგორიცაა Hisense, Toshiba, Hoover, Philips, Panasonic, Electrolux, Lenovo, Asus, Samsung, Huawei, HP, Dell, და სხვა.

კომპანია ბოლო წლების მანძილზე სტაბილურად იზრდება, რაც მენეჯმენტის სწორი სტრატეგიული და ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგია. კომპანია ფინანსდება საკუთარი და მოზიდული დაფინანსების წყაროებით. აქვს შეუბღალავი საკრედიტო ისტორია.

კომპანია მართავს ვებ გვერდს www.megatechnica.ge, რომელიც განაახლა 2017 წლის ბოლოს. ვებ გვერდზე სრულად არის წარმოდგენილი ყველა პროდუქტი ფასებით და მომხმარებელს აქვს საშუალება ბარათით და ონლაინ კრედიტით შეიძინოს ნივთი. მომავალში კომპანიას დაგეგმილი აქვს გაყვეს თანამედროვე ტრენდს ელექტრონული ვაჭრობის განვითარების მიმართულებით და მომხმარებელს შესთავაზოს როგორც დამატებითი ყიდვის საშუალებები, ასევე უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია.

კომპანიას დასაქმებული ყავს 150 ადამიანი. ხელმძღვანელობის აზრით დასაქმებულთა დენადობა დაბალია, თუმცა იმის გამო, რომ არ არსებობს საშუალო ინდუსტრიული მონაცემები, არც დასაქმების და არც ფინანსური კოეფიციენტების მიმართულებით, ზუსტად კომპანიის პოზიციონირება გართულებულია.

კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი, რომლის ათვისება/დაფარვაც პროდუქტების სეზონურობაზეა დამოკიდებული. კომპანიას ისტორიულად ლიკვიდურობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი აქვს და მომავალშიც ეგდება რომ ამ მიმართულებით საფრთხეები თავიდან იყოს აცილებული. ეს მიიღწევა სწორი ფინანსური და ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ასევე სწორი დაგეგმვისა და პროგნოზების კეთებით.

კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს მომხმარებელთან ქცევის წესებს და არსებული 10 მაღაზიის თანამშრომლებისთვის პერიოდულად ატარებს ტრენინგებს ქცევის და პროდუქტის ცოდნის მიმართულებით.

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების განხილვას.

წმინდა მოგება (მილიონი ლარი)

2020	7.93
2019	4.51

საოპერაციო შემოსავალი

2020	70.70
2019	55.51

უკუგება საშუალო კაპიტალზე

2020	26%
2019	17%

უკუგება საშუალო აქტივებზე

2020	20%
2019	14%

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

მთლიანი აქტივები (მილიონი ლარი)		ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა	
2020	41.52	2020	86.90%
2019	36.93	2019	90.41%

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი დღეებში

2020	151
2019	170



ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები, 2019 წელთან შედარებით გაზრდილია, გაზრდილია ასევე წმინდა მოგება, რაც განპირობებულია გაზრდილი შემოსავლებითა და კომერციული ხარჯების შემცირებით.

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE): მეწილეების 2020 და 2019 წლის კუთვნილი მოგება შეფარდებული კაპიტალის 2019-2020 წლების და 2019-2018 წლების საშუალო მაჩვენებელზე. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს რამდენი მოგება მოაქვს ერთი ერთეულის კაპიტალს წლის განმავლობაში. აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წელს გაზრდილია 2019 წლის მონაცემთან შედარებით 17%-იდან 26%-მდე, რაც გამოწვეულია წმინდა მოგების ზრდით, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია ზემოთ აღნიშნული ფაქტორებით.

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA): 2020-2019 წლების წმინდა მოგება შეფარდებული 2019-2020 და 2019-2018 წლების მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენი მოგება (გამოსახული პროცენტებით) მოაქვს ერთი ერთეულის აქტივს წლის განმავლობაში. 2020 წლის უკუგების კოეფიციენტი საშუალო აქტივებზე გაზრდილია 2019 წლის ამავე მონაცემთან შედარებით 14%-იდან 20%-მდე, რაც გამოწვეულია წმინდა მოგების ზრდითა და მარაგების ბრუნვის კოეფიციენტის შემცირებით..

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: მარაგების ნაშთი წლის ბოლოს გაყოფილი წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365 დღეზე. აღნიშნული ინდიკატორი 2019 წელს შეადგენდა 170, ხოლო 2020 წელს 151, რაც განსაზღვრავს თუ რამდენი დღე სჭირდება კომპანიას საშუალოდ არსებული მარაგების რეალიზაციისათვის. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია გაზრდილი შეკვეთების ინტენსიურობითა და შეკვეთის შემცირებული მოცულობით.

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე. ეს ინდიკატორი გვიჩვენებს რამდენად შესწევს კომპანიას მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის უნარი. აღნიშნული კოეფიციენტი გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით, 2020 და 2019 წლებში შეადგენდა შესაბამისად 9.46 და 4.82-ს. აღნიშნული გაუმჯობესება გამოწვეულია მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანი. რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებითა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებით.

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა: პერიოდის მთლიანი საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან. აღნიშნული კოეფიციენტი 2019 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა და შემცირებულია.

2020 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ხარჯით ნაწილში, ყველაზე დიდი ხარჯი იჯარის ხარჯია, და შემდეგ სახელფასო ხარჯი. ფაქტიურად ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯებით ნაწილის 81%-ს იჯარა და ხელფასები შეადგენს. მომავალში ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან საცალო ბიზნესისთვის იჯარა და ხელფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

შემოსავლების ნაწილში, 2020 წელს საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციიდან შემოსავლები შეადგენს მთლიანი რეალიზაციის 60%.

ლ '000	2020 წ	2019 წ
სულ შემოსავალი	70,700	55,510
შემოსავალი საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან	42,469	35,450
საყოფაცხოვრებო ტექნიკის წილი მთლიან რეალიზაციაში	60%	64%

მომავალში ეს პროპორცია შეიცვლება იმის ხარჯზე, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების გაძლიერება კომპანიის მთავარი სტრატეგიული გზაა შემოდგომი წლების რეალიზაციის გაზრდის მიმართულებით.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

3.1 რისკის აღწერა

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ COVID-19 თან დაკავშირებით გამოაცხადა პანდემია. 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა პრემიერ მინისტრის წარდგინებით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესდა სხვადასხვა შეზღუდვა საჯარო და ბიზნეს სექტორებისთვის როგორცაა საზოგადოებაში თავშეყრისა და ეკონომიკური საქმიანობის უფლების შეზღუდვები და შესაბამისად, კომპანიას დადგენილი რეგულაციების თანახმად მოუხდა დროებით მაღაზიათა დახურვა. კომპანია სწრაფად გადაერთო ონლაინ რეჟიმზე და შეძლო გამკლავებოდა არსებულ გამოწვევებს. წლის დასაწყისში როდესაც ონლაინ მუშობაც არ იყო ნებადართული გარკვეული ფულის დეფიციტი შეიქმნა, თუმცა დადებითი საკრედიტო ისტორიის წყალობით საჭირო სახსრების მოძიება პრობლემა არ ყოფილა.

რისკის განეიტრალება

პანდემიის გავრცელებისგან მიღებული რისკები კვლავ არ შენელებულა. კომპანიის მიერ აღნიშნული რისკის მართვის უმთავრესი პრინციპია ინოვაციების დანერგვა, მომხმარებელთა საჭიროებებზე ფოკუსი და შესაბამისი სერვისების მყისიერი შეთავაზება. პანდემიით გამოწვეული კრიზისის ეფექტურად გასამკლავებლად, მეგატექნიკა სასწრაფო წესით გადავიდა ონლაინ გაყიდვების გაძლიერებაზე. შეიქმნა გუნდი, გადანაწილდა მოვალეობები. ამით გაძლიერდა ონლაინ მომხმარებლის მომსახურების ხარისხი. ონლაინ გაყიდვები გაიზარდა და ამ ტემპს აგრძელებს ქუჩისპირა მაღაზიების გახსნის შემდეგაც, რაც მაჩვენებელია მომავალშიც ონლაინ გაყიდვების მნიშვნელობის ზრდის. თითოეული კლიენტი მნიშვნელოვანია, ამიტომ კომპანიამ დანერგა მონაცემთა ანალიზის power BI სისტემა, რაც საქართველოში ინოვაციურია. ეს სისტემა ხელს შეუწყობს მონაცემთა უკეთ და დროულ დამუშავებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონლაინ რეჟიმში მუშაობისას. კრიზისის პირობებში, განსაკუთრებით როდესაც კომპანია პრაქტიკულად გაჩერებული იყო, პირველ რიგში საჭირო იყო ფულის ნაკადების სწორად მართვა და დამატებითი სახსრების მოზიდვა, რასაც კომპანიამ წარმატებით გაართვა თავი, ამით მოახერხა ის რომ არ შეჩერდა ბიზნეს პროცესები, შეინარჩუნა კარგი იმიჯი მომწოდებლებთან და უზრუნველყო მოწოდების უწყვეტობა. რა თქმა უნდა გადაიხდა ხარჯების სტრუქტურა. მნიშვნელოვანი ხარჯი კომპანიისთვის ყოველთვის იყო იჯარის და ხელფასის ხარჯი. მოხდა იჯარის ხელშეკრულებების გადახედვა და ძირითად შემთხვევებში კორექტირება. მარკეტინგული დანახარჯების გადახედვა მოხდა და მიეცა უფრო მეტად ონლაინ მიმართულება.

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სამთავრობო შეზღუდვების მოხსნის პარალელურად კომპანია ხსნის დაკეტილ მაღაზიებს რაც ხელს შეუწყობს რეალიზაციის გაზრდას. არსებული გამოწვევები მტკიცუნეული იყო კომპანიისთვის, თუმცა კრიზისს, უარყოფით ფაქტორებთან ერთად, შესაძლებლობების ფართო სპექტრიც ახლავს ხოლმე. რაც კონკურენტული უპირატესობების მოპოვებისთვის გამოიყენა კომპანიამ.

არ არის მოსალოდნელი დიდი რყევები კომპანიის ფინანსური მდგრადობის კუთხით და როგორც წინა კრიზის მენეჯმენტის დროს, ამ შემთხვევაშიც შეძლებს კომპანია არსებული გამოწვევების გამოყენებას ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

3.2 ფინანსური რისკები

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

კომპანიას აქვს სამომავლო განვითარების სამწლიანი გეგმა. რომელიც გულისხმობს გაყიდვების სტაბილურ ზრდას. ზრდის მიღწევა მოხდება პროდუქტების მიხედვით პოზიციების განსაზღვრით. იმ პროდუქტში, სადაც კომპანიას უკვე საკმაოდ დიდი წილი აქვს, ეს ეხება თეთრ პროდუქტს (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა და სხვა) შეინარჩუნოს პოზიციები, ხოლო ე.წ. შავი და აიტი ტექნიკის მიმართულებით იმუშავოს შესაბამისი ბრენდებთან ახალი კონტრაქტების მიმართულებით.

შენარჩუნება მოხდება მომხმარებლების განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ენერგოეფექტური პროდუქტებზე აქცენტის გაკეთებას. ეს არის A, A+, A++ და A+++ ენერგომომხმარებლის ახალი პროდუქტის შეთავაზება მომხმარებლისთვის.

მომავალ წლებში კომპანია პროგნოზირებს ზრდას. პროგნოზი დამყარებულია იმ მოლოდინზე რომ კომპანიის ასორტიმენტი გაიზარდა და მნიშვნელოვანი ბრენდი დაემატა კომპანიის პორტფელს. ზრდის მოლოდინი დამყარებულია განსაკუთრებით ციფრული მიმართულების გაძლიერებაზე.

კომპანია სამომავლოდ არ აპირებს ძალიან განსხვავებულად დიდ ფორმატზე გადასვლას, რადგან ითვალისწინებს ევროპული ბაზრის გამოცდილებას, სადაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები ძალიან დიდი ფორმატიდან ისევ ვიწროვდებიან ხარჯების შემცირების მიზნით.

5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 22 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ნ. გაბუნია

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სამთავროში შეზღუდვების მოხსნის პარალელურად კომპანია ხსნის დაკეტილ მაღაზიებს რაც ხელს შეუწყობს რელიზაციის გაზრდას. არსებული გამოწვევები მტკიცებელი იყო კომპანიისთვის, თუმცა კრიზისის, უარყოფით ფაქტორებთან ერთად, შესაძლებლობების ფართო სპექტრიც ახლავს ხოლმე. რაც კონკურენტული უპირატესობების მოპოვებისთვის გამოიყენა კომპანიამ.

არ არის მოსალოდნელი დიდი რყევები კომპანიის ფინანსური მდგრალობის კუთხით და როგორც წინა კრიზის პერიოდის დროს, ამ შემთხვევაშიც შეძლებს კომპანია არსებული გამოწვევების გამოყენებას ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

3.2 ფინანსური რისკები

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისთვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

კომპანიას აქვს სამომავლო განვითარების სამწლიანი გეგმა. რომელიც გულისხმობს გაყიდვების სტაბილურ ზრდას. ზრდის მიღწევა მოხდება პროდუქტების მიხედვით პოზიციების განსაზღვრით. იმ პროდუქტში, სადაც კომპანიას უკვე საკმაოდ დიდი წილი აქვს, ეს ეხება თეთრ პროდუქტს (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა და სხვა) შეინარჩუნოს პოზიციები, ხოლო ე.წ. შავი და აიტი ტექნიკის მიმართულებით იმუშავოს შესაბამისი ბრენდებთან ახალი კონტრაქტების მიმართულებით.

შენარჩუნება მოხდება მომხმარებლების განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ენერგოეფექტური პროდუქტებზე აქცენტის გაკეთებას. ეს არის A, A+, A++ და A+++ ენერგომომხმარებლის ახალი პროდუქტის შეთავაზება მომხმარებლისთვის.

მომავალ წლებში კომპანია პროგნოზირებს ზრდას. პროგნოზი დამყარებულია იმ მოლოდინზე რომ კომპანიის ასორტიმენტი გაიზარდა და მნიშვნელოვანი ბრენდი დაემატა კომპანიის პორტფელს. ზრდის მოლოდინი დამყარებულია განსაკუთრებით ციფრული მიმართულების გაძლიერებაზე.


კომპანია სამომავლოდ არ აპირებს ძალიან განსხვავებულად დიდ ფორმატზე გადასვლას, რადგან ითვალისწინებს ევროპული ბაზრის გამოცდილებას, სადაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები ძალიან დიდი ფორმატიდან ისევ ვიწროვდებიან ხარჯების შემცირების მიზნით.

5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელების მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 22 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



6. გაბუნია